გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 176

ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი №2 11 ნოემბერი 2013 წელი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2013 წლის 11 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად და მონეტარული ზღვრების დაცვით, დაფინანსების წყარო – ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი (საკუთარი სახსრები).

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" (ს/კ 203827573) – წარმომადგენელი – თეატრის დირექტორი ნიკოლოზ სვენტიცკი (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ №2, ტელეფონი: (832) 293-33-01; E-mail: griboedovi@yahoo.com და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი" (ს/კ 202177205), წარმოდგენილი დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის სამგორის ფილიალის დირექტორის გრიგოლ ბარბაქაძის (თანახმად მინდობილობისა №1263 გაცემული 27.09.2013 წელს) სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV– 09211000 – საპოხი ზეთები და საპოხი აგენტები, კერძოდ: ზეთი ინდუსტრიული TNK I 40A 180kg –205 ლიტრი, ერთეულის 3,50 ლარი, სულ 717,50 ლარი, რომლის მიწოდებაც უნდა განხორციელდეს ქ.თბილისი რუსთაველის გამზირი №2–ში არაუგვიანეს 2013 წლის 15 ნოემბრისა.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 717,50 ლარს (შვიდას ჩვიდმეტი ლარი და 50 თეთრი).

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

4.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის გამვალობაში.

**5. მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი (მიღება–ჩაბარების აქტი) დოკუმენტაციის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

**6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

ბ) შემსყიდველის მიერ გამოყოფილ პირთან ან პირთა ჯგუფთან შეათანხმოს მასალების ხარისხი (წარმოადგინოს ნიმუშები) და მხოლოდ ამ პირთა მხრიდან ნიმუშების არჩევის შემდეგ განახორციელოს მათი მიწოდება.

გ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე შეცვალოს უხარისხო–წუნდებული შესყიდვის ობიექტი.

## 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი, კერძოდ: კობა იჩქიტიძე, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 25 ნოემბრამდე ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადებში სრულ შესრულებამდე.

## 13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

### მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“ (ს/ნ 203827573) | შპს „თეგეტა მოტორსი“ (ს/კ 202177205) |
| **საბანკო რეკვიზიტები:ს/ს „თი–ბი–სი ბანკი“**<br>**ბანკის კოდი:** TBCBGE22<br>ანგარიში: № GE70TB0600000120467090; | გენერალური დირექტორის მინდობილი პირი,სამგორის ფილიალის დირექტორი<br>გრიგოლ ბარბაქაძე |
| წარმომადგენელი – ნიკოლოზ სვენტიცკი | |
| ხელმოწერა: ---------- | ხელმოწერა: ---------- |

№1263
27.09.2013წ

# მინდობილობა

შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორი თემურ კოხოძე ენდობა ამავე საზოგადოების სამგორის ფილიალის დირექტორს გრიგოლ ბარბაქაძეს (პირადობის მოწმობა №ა 1242615) მასზედ, რომ მას აქვს უფლება ხელი მოაწეროს საქონლისა და მომსახურების მიწოდების, ნარდობის, მომსახურეობის ხელშეკრულებებზე. ასევე უფლება აქვს იყოს საზოგადოების წარმომადგენელი საჯარო რეესტრში, მინდობილი პირის სახელით ხელი მოაწეროს ოჯარის ხელშეკრულებას, შეწყვიტოს, ვადა გააგრძელოს ან შეიტანოს ცვლილება მასში. შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების განხორციელებასთან.

მინდობილობა ძალაშია **2013 წლის 27 სექტემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

პირადი ხელმოწერა (გრიგოლ ბარბაქაძე).....

პირადი ნომერი: **53001012491**

მისამართი:თბილისი სანზონა კორ.38 ბ.42

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება:სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნამალადევის სამსახური

გაცემის თარიღი:29.01.2009წ

ამტკიცებს,
შპს“თეგეტა მოტორსის“
გენერალური დირექტორი

თემურ კოხოძე


[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

[illegible]
"TBC-[illegible]"
SWIFT: TBCBGE22
A/C GE60TB[illegible]
[illegible]
[illegible]

#5, 12-km, D. Agmashenebeli Alley
0131 Tbilisi, Georgia
Tel: +99532 224 44 44
Fax: +99532 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

Beneficiary's Bank: TBC BANK
11, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
SWIFT: TBCBGE22630
BENE Account: GE60TB[illegible]
NAME OF BENEFICIARY: TEGETA MOTORS LTD

# მიღება – ჩაბარების
# აქტი

ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი №2 13 ნოემბერი 2013 წელი

ერთის მხრივ სსიპ „ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“ (ს/კ 203827573) – წარმომადგენელი – კობა იჩქიტიძე და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი“ (ს/კ 202177205), წარმოდგენილი დირექტორის, თემურ კოხოძის მინდობილი პირის სამგორის ფილიალის დირექტორის გრიგოლ ბარბაქაძის (თანახმად მინდობილობისა №1263 გაცემული 27.09.2013 წელს) სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“,ვდებთ მიღება–ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2013 წლის 11 ნოემბერს №176 ხელშეკრულების საფუძველზე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით 2013 წლის 13 ნოემბერს მიმწოდებელმა მიაწოდა, ხოლო შემსყიდველის წარმომადგენელმა ჩაიბარა (მიიღო) 717,50 ლარის ღირებულების ზეთი ინდუსტრიული TNK I 40A 180kg –205 ლიტრი, რასაც მხარეები ადასტურებენ ხელისმოწერით:

**შემსყიდველის მხრიდან:** კობა იჩქიტიძე _____

**მიმწოდებლის მხრიდან:** გრიგოლ ბარბაქაძე _____